

**მასწავლებლის, აღზრდელის, მოძღვრის
სემანტიკური ველი ქართულში**

„გონიერსა მწვრთნელი უყვარს...“

/მიძღვნა პროფ. მარინა ქაცარავას/

**SEMANTIC FIELD OF *TEACHER / EDUCATOR / MENTOR*
IN GEORGIAN**

“The wise love learning...”

/Dedication to Professor Marina Katsarava/

მანანა ტაბიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
თბილისი. საქართველო

Manana Tabidze

St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia
Tbilisi. Georgia

ABSTRACT

The proposed article has been inspired by the life work of Professor Marina Katsarava of Akaki Tsereteli State University who accomplished 80 years. We would like to demonstrate that even though the spirit and the form of once universal and multi-faceted semantic field of a Teacher has been altered and every one of its components has developed into separate “activities”, and if the future will bring those endowed with the qualities of a teacher / leader, the language will immediately tap into its limitless memory to recover attributes for them, generating the relevant, still living and important vocabulary that seems forgotten.

Several concepts and terms of the semantic field of a Teacher have been preserved in Georgian such as *mčvreteli* (watching; onlooker; contemplator), *gangebi* (who understands/knows/foresees), *gonieri* (intelligent; sensible; rational; wise), *mecnieri* (scholar, academic; scientist), *mcodne* (learned; knowledgeable), *scavluli* (well-educated, learned; scholar), *mšcavleli* (teaching), *mascavlebeli* (teacher),

ağmomčeni (discoverer), *mzrdeli* (raising; rearing), *činebuli* (magnificent; excellent; exceptional), *šemcnobi* (knowing, aware; recognizing; understanding) / *šemmecnebeli* (cognizant), *mojğvari* (teacher, leader), etc.

The vocabulary related to teaching and transferring knowledge in Georgian represents a final link in a well-designed process:

scavla (learning) > *scavluli* (well-educated, learned; scholar) > *mascavlebeli* (teacher)

čurtna (training) > *čurtnili* (trained) > *mčurtneli* (instructing)

zrda (raising, upbringing / growth; development) > *zrdili* (raised/reared, brought up, educated) > *mzrdeli* (raising; rearing).

Indeed, new borrowings which in the receiving language have a narrowed meaning (compared to the source language) fail to undergo such word formation. From this perspective, the terms used in the field of Georgian education are of particular interest: *treneri* (trainer, coach), *tutori* (tutor), *edukatori* (educator), *repetitori* (private tutor / coach), *guberniori* (children's tutor/governor), *mentori* (mentor), *moderatori* (moderator), *pedagogi* (teacher, tutor, pedagogue), *piloti* (pilot), *kognitori* (cognitor), *pasilitatori* (facilitator), etc.

Any linguistic concepts can be considered as an expression of culture and national mentality of the nation and people.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის ლექსიკა, მასწავლებლის/მომძღვრის სემანტიკური ველი, სიტყვაწარმოება.

Keywords: Georgian language vocabulary, semantic field of a teacher / leader, word formation.

თანამედროვე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ბევრ სიკეთესთან ერთად ერთი მკაფიოდ გამოხატული ნაკლიც ახლავს – ესაა განათლებისა და სტაბილური სამეცნიერო ღირებულებების მუდმივი რევიზია, რაც თავისებურად აიხსნება კიდევ: დღევანდელი იმდენადაა განპირობებული პრაგმატიკით, სწრაფად ცვალებადი სოციალურ-პოლიტიკური ფონითა და უწყვეტი მიგრაციებით, რომ ცოდნაზე მოთხოვნილებასა და საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო საქმიანობის მიმართ საზოგადოების პატივისცემას ხანმოკლე პროექტებიდან განსაზღვრავენ. ამის დასტურია 1-2 წლიანი საგრანტო დაფინანსებები მეცნიერებაში და ორ-სამ-ოთხწლიანი სასწავლო პროგრამები განათლებაში; დღევანდელი ჩვენში წარსულს ისე დააკარგვინა მნიშვნელობა და ადგილი საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რომ გამოცდილების გაზიარება ბევრისთვის გამომწვევი და ფუჭი საქმეც კი გახდა. ამჟამად ჩვენ ვესწრებით კლასიკური სამეცნიერო და საგანმანათლებლო სკოლების „მიღვეის“ პროცესს, და ეს განსაკუთრებულად ალღევს ორი ეპოქის წიაღში მცხოვრებ თაობას, რომელიც მტკივნეულად განიცდის იმ უნივერსალური და მარადიული ფასეულობების კარგვას, იდეოლოგიური თუ ფიზიკური წნეხის მიუხედავად რომ გადაურჩინა მომავალს.

დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი პატივისცემა და სიყვარული დავუდასტუროთ ქართული ინტელექტუალური საზოგადოების ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, კლასიკური თაობის მეცნიერსა და მასწავლებელს ქალბატონ **მარინა ქაცარავას** და მის მაგალითზე კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ კლასიკურ ცოდნას და აზროვნება-ქმედების ნორმებს დრო ვერ ერევა. მისი ხარისხობრივი მაჩვენებელი მუდამ უმაღლეს ნიშნულთანაა.

ვინც შორს იყურება, კარგად ხვდება, რომ ხანგრძლივი, საუკუნეობრივი ცოდნა საკუთარი თავისა თუ საკაცობრიო წესრიგის შესახებ ანგარიშგასაწევი და აუცილებელია.

წინამდებარე სტატია შთაგონებულია პროფესორ მარინა ქაცარავას მოღვაწეობით და იმის ჩვენების სურვილით, რომ თუმცა **მოძღვრის** ოდესღაც უნივერსალურმა და მრავალმხრივმა სემანტიკურმა სივრცემ ფორმა და სულისკვეთება შეიცვალა და ყოველი მისი შემადგენელი ცალკე „აქტივობად“ და დარგადაც კი ჩამოყალიბდა, მაგრამ თუკი „**მოძღვრის**“ თვისებათა მატარებელი ადამიანები გამოერევიან ჩვენ შორის, ენა უმაღლ მოუხმობს თავის უკიდევანო მეხსიერებას, და ამგვარი ადამიანების მსაზღვრელად გამოიხმობს სათანადო, თითქოსდა მივიწყებულ, მაგრამ ჯერაც ცოცხალ და მნიშვნელოვან ლექსიკას.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში განსაკუთრებით დაწინაურდა ლექსიკის სემანტიკური ველების მიხედვით კლასიფიკაციისა და შესწავლის მიმართულებები, და ამას ნამდვილად აქვს საფუძველი. კომპიუტერული ტექნოლოგიების სრულყოფის გზაზე ინფორმაციის (ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის) საყოველთაო მისაწვდომობის უზრუნველყოფა გამოყენებითი დარგების მიერ ენათმეცნიერებისათვის მიცემულ პრაქტიკული ხასიათის უმნიშვნელოვანეს დაკვეთად უნდა განვიხილოთ. სწორედ ამ მოთხოვნამ განაპირობა სემანტიკური და სტილისტიკური კვლევების აქტუალურობა და ლინგვისტიკის ამ ქვედარგების პოპულარულობის ზრდა.

სწორედ ამ დარგების წიაღში დაიბადა ლექსიკური მიკროსისტემების ორგანიზაციის იდეა, რომელიც გულისხმობს ერთი საერთო ნიშნის გარშემო ლექსიკა-ფრაზეოლოგიური ერთეულების თავმოყრას და დამატებითი სემანტიკური ნიშნების სიმორე-სიახლოვის მიხედვით მათ დაჯგუფებას. ეს პროცესი განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ე.წ. ფორმალური ლინგვისტიკის კუთხითაც, რადგან სემანტიკური ველების დახარისხების პრინციპმა ენობრივი მასალის სისტემატიზაციის ახალი გზები და პერსპექტივები გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ სემანტიკური სისტემები და ქვესისტემები ხშირად ლექსიკის ფორმოზრივ ტრანსფორმაციებსაც ჰყვებიან ნათელს (ან ამგვარი „სინათლის მოფენის“ შესაძლებლობას შეიცავენ).

ყველაზე ფართო ლექსიკურ-სემანტიკური სივრცე, რომელსაც თემატურ ჯგუფსაც უწოდებენ, აერთიანებს სხვადასხვა მეტყველების ნაწილის კუთვნილ, პოლისემანტიკურ ლექსიკას, რომელიც შესაძლებელია ამ „გაფართოებულ“ ველში იმიტომ მოხვდა, რომ ლექსიკა ენაში იზოლირებულად (სხვა სიტყვებთან კავშირის გარეშე) თითქმის არასოდეს გვხვდება, და სხვა ლექსებთან შეხვედრის რომელიღაც კომბინაციაში თემატური ველის შემადგენელი აღმოჩნდა. ასეთი ე.წ. შემთხვევითი ერთეულებისაგან ძირითადი ლექსიკის გაფილტვრა უკვე ქვესისტემების დონეზე ხდება.

ქართულმა ენამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რეაგირება მოახდინა ამ ტენდენციაზე და უკვე არსებულ, ახალწარმოებულ თუ ნასესხებ ლექსიკაში გადაანაწილა სათანადო მნიშვნელობები. ჩვენ შევეცდებით დავაკვირდეთ ამ სურათს და სათანადო ლექსიკის მნიშვნელობათა წაკითხვის გზით

შევაფასოთ თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება განათლებისა და აღზრდის საკითხებისადმი.

სწავლებასა და ცოდნის გადაცემასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში კარგად აწყობილი პროცესის ბოლო რგოლს წარმოადგენს:

სწავლა --> სწავლული --> მასწავლებელი

წურთნა --> წურთნილი --> მწურთველი

ზრდა --> ზრდილი --> მზრდელი

ცხადია, ასეთი გზის გავლა არ უხერხდება ახალნასესხობებს, რომელთაც მიმღებ ენაში დავიწროებული აქვთ წყაროენისეული მნიშვნელობა და უაღრესად კონკრეტული დროითა და სივრცით შემოფარგლული ამოცანების გადაჭრა ევალებათ მხოლოდ. ასეთ კონკრეტულ ამოცანას კი ასეთივე კონკრეტული, ვიწრო და შემოზღუდული მომზადება ესაჭიროება. ამ თვალსაზრისით ქართველისთვის არაფრისმთქმელია შემდეგი ლექსიკა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება საგანმანათლებლო სივრცეში: **ტრენერი, ტუტორი, ედუკატორი, რეპეტიტორი, გუვერნიორი, მენტორი, მოდერატორი, პედაგოგი,¹ პილოტი, კოგნიტორი, ფასილიტატორი...**

მასწავლებელი – ალ. ნეიმანის „სინონიმთა ლექსიკონში“ ამ სიტყვის სინონიმებად დასახელებულია: **მოძღვარი, დამრიგებელი, მწვრთნელი,² აღმზრდელი, ხელმძღვანელი, ოსტატი, ხოჯა, მოძგ. მწვრთველი** (ნეიმანი 1978).

როგორც ენათა უმრავლესობის, ისე ქართულისთვისაც დამახასიათებელია საკუთრივ ადამიანის აღზრდისა და ცხოველ-თათვის ადამიანთან შეგუებისა და მისთვის სამსახურის გაწევის უნარ-ჩვევათა გამოუმუშავების პროცესების გამიჯვნა:

(მხეც-ნადირისა) მგეშავი, ყურძვალი (მალღებისა), ენიოტი, მხედნელი (ცხენებისა) (იქვე: 559).

მოძღვარი, მაგისტროს, ოსტატი, ეზოს-მოძღვარი, იმოდღურა, მაგისტრო, მამა, მოძღვარი, მეპურეთ-მოძღვარი, მღდელთ-მოძღვარი, მკედართ-მოძღვარი, ნამოდღურალი, ნიორაკთ-მოძღვარი, სამოდღრო, უმოდღურე, ძლოლა, მამა³. თუმცა ახალ ქართულში **წვრთნა** და **სწავლება** და კიდევ რამდენიმე ლექსემა განზოგადებისკენ მიდრეკილებას იჩენს.

ჩვეულებრივ, ლექსიკური მასალის ამოკრება სემანტიკური ველისათვის ლექსიკონების საფუძველზე ხდება. ამ შემთხვევაშიც ლექსიკონებს დავეყრდნობით და რამდენიმე ძირითადი პარამეტრით

¹ თვით სიტყვა „პედაგოგმაც“ კი, რომელიც ძალიან დიდი ხანია შემოსულია ქართულში, ვერ შეიძინა ის მოქნილობა, რომელიც ქართულ ფუძეებს ახასიათებს.

² „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“ (შოთა რუსთაველი)

³ პატრი; ათა, ბაბა.; ჰორ, ჰერ (+ მამა B) არს ღ 'თი დამზადებლობითა. მ ა მ ა არს შემქმნელი; მ ა მ ა დ ითქმიან ... მამა[თ]-მთავარი (მამად-მთავარი) ესენი არიან ადამ, აბელ, ნოე, აბრაჰამ და მისთანანი. ხოლო აწინდელიცა პ ა ტ რ ი ა ქ ნ ი (+ ხოლო გარემთავარი ეპისკოპოზთა მიერ წარგზავნილი ...

ვიხელმძღვანელებთ. საფუძვლად ვიღებთ პიროვნების ფორმირებისთვის აუცილებელ მიზნებს: გაზრდას, აღზრდას, სწავლებას...

გაზრდა	აღზრდა	სწავლება	წვრთნა	განათლების მიცემა, წარმართვა
ედუკატორი ⁴	აღზრდელი პედაგოგი	აღზრდელი პედაგოგი (ცოდნის გადაცემა)	ტრენერი	პედაგოგი მენტორი
გამზრდელი	აღზრდელი	მასწავლებელი	ტუტორი	მოძღვარი
ძიძა		რეპეტიტორი	ოსტატი	პროფესორი
მზრდელი		მწვრთნელი	ხელმძღვანელი	
ლალა			დამრიგებელი	
მეურვე				

ე. სეპირის მიხედვით, ენა მძლავრი საზოგადოებრივი იარაღია, რომელიც ხალხის სიმრავლეს აყალიბებს ეთნოსად, რომლისგანაც იქმნება ერი სამეტყველო კოლექტივისათვის კულტურის, ტრადიციების, საზოგადოებრივი თვითშეგნების შენახვისა და გადაცემის გზით. ეს გზა სამყაროს სოციალურ-კულტურულ სურათზე გადის, რომელიც ენობრივ სარკეში იხედება. მაშასადამე, თუ მიზანი ერის შვილის აღზრდაა. მისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებითა და ეკლექტური მსოფლიო კულტურის ტრადიციების, საზოგადოებრივი შეგნების გაცნობით ვერ შემოვიფარგლებით, ხოლო თუ ჩვენი მიზანი უმისამართო „ადამიანი მწარმოებელია“ (Homo Faber)⁴, მაშინ ცხადია, აღარც მოძღვარი დაგვჭირდება, აღარც მზრდელი და აღარც დამრიგებელი, ტუტორ-ტრენერ-რეპეტიტორითაც იოლად გავალთ ფონს.

დღეს პიროვნების ფორმირება საფეხურებადაა ჩაშლილი და ყოველი რგოლი სრულიად ვიწროდ მინდობილი აქვს კონკრეტული ასაკობრივი მომენტისათვის პედაგოგად მომზადებულ სპეციალისტს. მთლიანი სურათის გააზრება ამ მკვეთრი დანაწილების ვითარებაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება პროექტის მხოლოდ რომელიღაც ერთი ფრაგმენტული ნაწილის განმახორციელებლისათვის:

- ადრეული საფეხური (სკოლამდელი)
- დაწყებითი სკოლა
- საშუალო რგოლი
- მაღალი რგოლი
- უმაღლესი განათლება

⁴ ადრეული (სკოლამდელი) განათლება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019 წელი <https://eqe.ge/res/docs/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%.pdf>

⁵ გავიხსენოთ მაქს ფრიშის ცნობილი რომანი Homo Faber (და ადამიანის ნაირგვარი მახასიათებლები ლათინურად: Homo Sapiens, Homo Faber, Homo Ludens, Homo Tatus, Homo Sapiens Cyberneticus...)

ადამიანის განათლებულობა გაცილებით უფრო ძნელად ექვემდებარება განმარტებას, ვიდრე მისი ცოდნასთან ზიარების ნებისმიერი ფორმა, რადგან განათლებაში ცოდნაზე მეტი რამ იგულისხმება; ესაა ინფორმაცია, მისი აღქმის, შეფასების, გათვალისწინების, პრაქტიკასთან შესაბამისობის დადგენის, გამოცდილებით შემოწმებისა და ახალ შემეცნებამდე შემოქმედებითად მისვლის პროცესი. როგორ შეიძლება ამ პროცესის წარმართვა და ვისთვის შეიძლება მისი ორგანიზაციის მინდობა?

იმისთვის, რომ ლექსემამ სემანტიკური ველი (ან თუნდაც მიკროველი) შექმნას, მას უნდა ჰქონდეს ზოგადობის გარკვეული ხარისხი, სტილისტიკური ნეიტრალურობის ნიშნები, ცნებითი გამოყენების საკუთარი სივრცე.

პიროვნების ჩამოყალიბების გზაზე მენტალური, სულიერი და ფიზიკური სრულყოფისაკენ სწრაფვა გარკვეულ ხელმძღვანელობას მოითხოვს. ამგვარი ხელმძღვანელის როლში ოდესღაც მთელი საზოგადოება გამოდიოდა, რომელიც თავისი ტრადიციების, საკულტო წარმოდგენებისა და ეთიკური ნორმების მაკონტროლებელ ძალად დაჩნდებოდა და სიყრმიდანვე ამზადებდა ადამიანს საზოგადოების წევრად ყოფნისა და საკუთარი შესაძლებლობების საზოგადოებისათვის სასარგებლო მიმართულებით წარსამართავად.⁵ ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის ცოდნის გადაცემა სხვადასხვაგვარად შეიძლება დაჯგუფდეს:

ცოდნის გადაცემა	ინფორმაციის მიწოდება	ინფორმატორი, ინსტრუქტორი	ტრენერი
	ინფორმაციის მიწოდება შეფასებითურთ	ანალიტიკოსი, ლექტორი, პედაგოგი, ოპონენტი, შემფასებელი	მასწავლებელი, მრჩეველი, დამრიგებელი, მწვრთნელი, მზრდელი
	ინფორმაციის მეშვეობით ადრე მიღებული ინფორმაციის ჩანაცვლება	ტუტორი; მენტორი – ძველის ამომიძვევა და თავისუფალი სივრცის ახალი ინფორმაციით შეცვლა მოდლვარი, დამრიგებელი, განმანათლებელი, გზამკვლევი, განმსწავლეელი, მქადაგებელი// ქადაგი, გურუ, მასტრო – ძველი და ახალი ინფორმაციის შეჯერებითა და გადააზრებით ახალ ცოდნაზე გასვლა	
	ინფორმაციის მიწოდება, გაზიარება	მაცნე, რეპეტიტორი, გუვერნიორი// გუვერნანტი	

⁵ იხ. სულხან-საბა ორბელიანი: წურთა (+ წვრთა) არს, რა კაცი კაცსა ტკბილითა სიტყვითა ასწავლიდეს კეთილსა და, უკეთუ სიტკბოთ არა შეისმინა, ტუქსვითაც ჯამს; პირუტყვთ უმწყსთაცა მოწვრთად ითქმის, რომელი კაცთა ნებისად მოსწვართონ წურთილი... წვრთაქმნილი; ნუსხებშია: «წვრთილი». წურთ, წვრთილი

სამყაროს ენობრივი სურათის შესწავლა ენათმეცნიერების ახალგაზრდა დარგებისათვის ცენტრალური საკითხი გახდა. თანამედროვე ადამიანის, მოლაპარაკის (კომუნიკანტის) აზროვნების მასშტაბების, ფსიქიკური წონასწორობის, სოციალური სტაბილურობის, ცხოვრებისეული გამოცდილების სისტემატიზაციისა და გარემოსთან შეგუების უმნიშვნელოვანესი პირობა სწორედ სამყაროს აღქმის დონე და თავისებურებებია, ხოლო ეს ყოველივე უშუალოდ სამყაროს ენობრივი სურათის მიმართ ინდივიდუალური და ეთნიკურ-სოციალური კომპეტენცია და დამოკიდებულებაა.

ნებისმიერი ენობრივი კონცეპტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხალხის, ერის კულტურისა და ეროვნული მენტალიტეტის გამოხატულება.

სწავლისა და შემეცნების გზა ქართველთა აზროვნებაში უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია და ამა თუ იმ საგნის დანახვიდან დაწყებული სრული გაცნობიერებისა და საერთო ენობრივ ცოდნაში შენახვით დამთავრებული მრავალ საფეხურს გაივლის; ენა შემეცნების ამ საფეხურებს თავისებურად აფიქსირებს და აღნიშნავს:

დანახვა და ჭვრეტა

შეგრძნობა და აღქმა

გაგება და შეცნობა

შეტყობა და რწმუნება და ა.შ.

მეორე საფეხურზე დგება ის ლექსიკა, რომელიც აღნიშნავს ადამიანს ამა თუ იმ საკითხის ან საგნის აღქმისა და რეალიზაციის სხვადასხვა მდგომარეობაში: **მჭვრეტელს, გამგებს, გონიერს, მეცნიერს, მცოდნეს, სწავლულს, მსწავლელს, მასწავლებელს, აღმომჩენს, ჩინებულს, შემცნობს/შემმეცნებელს...**

ცხადია, ეს ლექსიკა ძალიან ფართოა და საინტერესო, მაგრამ ამჯერად ჩვენ შემეცნების გზაზე **გზამკვლევის, განმსწავლელის** აღმნიშვნელი ლექსიკა გვინტერესებდა და ყურადღებას სწორედ აქეთკენ მივმართავდით.

დავასრულებთ იმით, რითაც დავიწყეთ: დრო იცვლება და ცვლის რეალობას, ადამიანებს, ურთიერთობებს, ჭეშმარიტებებსაც კი... ეს ცვლილებები აღქმასა და გააზრებას მოითხოვს, რაც მყისიერად ვერ ხერხდება. მაგრამ ბოლოს ამის დროც მოდის... ბოლოს და ბოლოს სიახლეთა მოულოდნელი ეფექტი იკლებს, ადამიანი კიდევ ერთხელ აღმოაჩენს, რომ კლასიკურ ცოდნასა და ღირებულებებზე უარის თქმა შეცდომა იქნება, რომ გამოცდილებასა და ნოვაციას ერთმანეთის გვერდით (ან უფრო სწორად, ერთმანეთში) არსებობა შეუძლიათ, და რომ განათლება ვერ იგუებს მხოლოდ მიმდინარე ათწლეულის ცოდნას. ასეთი მომენტისათვის ენას მომზადებული აქვს სათუთად შენახული ცნებები და ტერმინები: **მჭვრეტელი, გამგები, გონიერი, მეცნიერი, მცოდნე, სწავლული, მსწავლელი, მასწავლებელი, აღმომჩენი, მზრდელი, ჩინებული, შემცნობი / შემმეცნებელი, მოძღვარი...**

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „**მოდღარი თავის მოწაფეს სულიერ სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობასა, მეცნიერებასა და რომელიმე ხელოვნებასაც ასწავლიდა**“.

ჩვენ დღეს ასეთ მასწავლებელზე, პროფესორ მარინა ქაცარავაზე გვაქვს საუბარი.

ვისაც ქალბატონ მარინა ქაცარავასთან ურთიერთობის სიხარული გვრგებია წილად, ვიცით, როგორ იხდენს იგი ამ მახასიათებლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ნეიმანი 1978: ნეიმანი აღ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა, თბილისი, 1978.

ორბელიანი 1991-1993: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, თბილისი, ტ. I - 1991, ტ. II - 1993.

ადრეული (სკოლამდელი) განათლება, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019 <https://eqe.ge/res/docs/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%.pdf> დამოწმება: 12.10.2020.